

№ 178 (9884) 6 სექტემბერი, შაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საჯარო ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • ღარი 8 კპ.

პირველად!

ნანა ასრათაშვილი

(ძიულო)

დაიბადა 1965 წელს თბილისში. წონა 48 კგ, სიმაღლე 156 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.


მწვრთნელები — გოდერძი ველიჯანაშვილი და ლელა ნებერიძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი. ძიულაში ვარჯიში დაიწყო 1984 წელს, 1985 წლიდან საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს 1986 წლის პირველობის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის 1986 წლის ჩემპიონატის პრინჯაოს პრიზიორი.

ში მეშვიდე ადგილი დაიკავებს (ნანა ასრათაშვილთან ერთად სარბიელზე გამოდიოდნენ ქეთევან ჩართოლანი და ია ზღულაძე).

ასრათაშვილის წონაში 21 მოტივით გამოდიოდა. ნანამ პირველ წრეში იულოთი დაამარცხა უკრაინელი იგნატჩუკი, შემდეგ ვაზარით მოუგო ვიატკინას (რსფსრ), მართალია, ჩვენი სპორტსმენი მესამე წრეში აზერბაიჯანელ ატაევსთან (იგი სსრ კავშირის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის) ქულებით დამარცხდა, მაგრამ ნახევარფინალში კვლავ წარმატებით იასპარეზა, მცირე უპირატესობით მოუგო ალმათელ კარიმბეკოვს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



ტორის ტურნირი მისთვის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება იყო, მანამდე გამარჯვდა „ბურვესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში, ქაბულთა საკავშირო ჩემპიონატზე, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში.

ულან-ბატორში ხინჩიკაშვილთან ერთად გამარჯვება მოიპოვეს მახაყალელებმა ნიაზბეკ ანტუევმა, (56 კგ) და რასულ კატინავასოვმა (65), კიშინიოველმა ოლეგ რუდნიკმა (81 კგ) და ორგანიზაციულმა ოლეგ ნანიევმა (+87 კგ).

ხ უ რ ა თ ე: გიორგი ხინჩიკაშვილი.



სპორტული გეგმავრობა თბილისი — ლიუბლიანა

15 წლის თავზე

15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ორი დამომბობელი ქალაქის — თბილისისა და ლიუბლიანის სპორტულ მეგობრობას. ამ ხნის განმავლობაში ქართველი და აუგოსლოველი სპორტსმენები ბევრჯერ შეხვდნენ ერთმანეთს როგორც თბილისში, ისე ლიუბლიანაში.

ორი დამომბობელი ქალაქის სპორტული მეგობრობა დაიწყო ხელბურთულთა შეხვედრით. და აი, ახლა, 15 წლის თავზე, მეგობრები ტრადიციისამებრ კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. თბილისში ჩამოვიდა ლიუბლიანის „სლოვანი“, რომელსაც ჩვენი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთულთა გუნდი მასპინძლობს. პირველი შეხვედრა ამ კოლექტივებმა თელავში ჩატარეს — 24:24 ასეთი მატჩის ანგარიში.

დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში ეს გუნდები კიდევ ორ მატჩს გამართავენ. შეხვედრა 18 საათზე დაიწყება.



ბანი ჩიხურდანიძისა და ელენა ახილოვსკაიას მატჩი ზაღრაჟი მსოფლიო ჩემპიონის ხასხაშვილის

მეორე პარტია

ამ დღეებში სოფის ლუდმილა ეიკოვას სახელობის კულტურის სახალხო სასახლეში ჯორჯის უამრავი გულშემატკივარი იყრის თავს. სასახლეში რამდენიმე ვრცელი დარბაზია, ჩიბურდანიძე და ახილოვსკაია მეტერთმეტე დარბაზში თამაშობენ, სადაც დიდი სადემონსტრაციო დაფა დგას.

სიმაღლეზე აღმოჩნდა და 35-ე სკალაზე, ჩემპიონის წინადადებით, მეტოქენი ყაიბზე შეთანხმდნენ.

ახილოვსკაია — ჩიხურდანიძე

- გრიუნფელდის დაცვა
- 1. d4 მf6 2. c4 გ6 3. მf3 კგ7 4. გ3 0-0 5. კგ2 d5 6. cd მ:d5 7. 0-0 მხ6 8. მ:ც3 მ:ც6 9. e3 ა5 10. d5 მხ4 11. e4 c6 12. ა3 მა6 13. კ:ც3 მ:ც4 14. კd4 e5 15. de კ:ე6 16. კ:გ7 ლ:d1 17. ეფ:d1 მფ:გ7 18. მd4 კგ4 19. f3 კ:ე8 20. მა4 ბ5 21. ბ3 მ:ც3 22. მხ6 მ:d1 23. მ:ა8 მ:ც3 24. მხ6 კ:ბ7 25. ე:ც1 ბ4 26. აბ აბ 27. კf1 მ:ც5 28. გა1 ეd8 29. მ:ც2 მ:ბ3 30. ეა7 მ:ც5 31. მ:ბ4 ეd1 32. მ:ც4 მ:ბ5 33. ეა5 ე:ბ1 34. მ:ც2 მ:ბ3 35. ეა2 ყაიბი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 1,5:0,5 მათა ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

მომდევნო, მესამე პარტია, რომელშიც თერთებით მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს, რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

გუშინ ჯორჯის სასახლიდან გვაცნობს, რომ ჩიბურდანიძე — ახილოვსკაიას მატჩის ყოველი პარტიის მოიწყობა წინა დღეს გათამაშებული პარტიის დემონსტრირება.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ამაჯიკალ ყაიბი

რიბაში გაიმართა ჯორჯის მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტ ვაჟა ფინალური მატჩის მეორე პარტია ანდრეი სოკოლოვისა და არტურ იუსუპოვის შორის. გათამაშდა კატალინიერის დასაწყისი, რომლის შემდეგაც დაფაზე საკმაოდ მძაფრი ქიდილი გაჩაღდა.

მაგრამ გარკვეული უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. ამიტომაც, 38-ე სკალაზე მეტოქეები დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 1,5:0,5 არტურ იუსუპოვის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს“ სპეციალური კორმსკონდენტი გიორგი ჩოჩიშვილი მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

მატჩის ბედი გენჯე ეკიდა

საქართველოს ხალხის პოპულარული გუნდი ფინალურ ჯგუფში

იზვიატა ნახავთ, რომ დამარცხებული გუნდის წევრები გახარებული და კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე, სადაც ტარდება მატჩები მალახის პოკეიში IX საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ვაჟა გუნდების შეხვედრის დამთავრების შემდეგ, დამარცხებულებმა გამარჯვებულებზე მეტად გაიხარეს. მოხდა ისე, რომ ჩვენი სპორტსმენები, თუნდაც ეს მატჩი ქვეჯგუფის ფავორიტთან წაგებოთ მინიმალური სხვაობით ან კიდევ ანგარიშით 1:3, 2:4, და ა. შ. ფინალურ ჯგუფში ხვდებოდნენ. როგორც იცით, ქვეჯგუფის პირველი მატჩი საქართველოსა და ლენინგრადის გუნდებს შორის ფრედ დამთავრდა, შემდეგ კი ნევისპირულეებმა რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან წააგეს — 0:2 და ახლა იმის იმედზე იყვნენ, რომ საქართველოს

პოკეისტები ამ გუნდთან უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდებოდნენ. მაგრამ მატჩის დასაწყისი კარგს არაფერს უქადა არც ლენინგრადელებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც რუსეთის ფედერაციის გუნდს. ჩვენი სპორტსმენები თავიდანვე გადავიდნენ მეტოქეზე და უკვე პირველ წუთებზე მეტად მწვავე საგოლე მომენტები შექმნეს. მატჩის მე-13 წუთზე საქართველოს ნაკრების სწრაფი შეტევა მეტოქეებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი — 6-მეტრიანი საჯარიმო. მერაბ ჭიჭიძემ ამ მანძილიდან პირდაპირ ცხრიანში დაარტყა ბურთი და თავისი გუნდი დააწინაურა — 1:0. ანგარიში ათიოდე წუთის შემდეგ გათანაბრდა. გოლი გაიტანა ევგენი ნეჩაევმა. პირველი ტრიმი ასე დამთავრდა — 1:1.

მეორე ტრიმის დასაწყისი რუსეთის ფედერაციის სპორტსმენთა უპირატესობით მიმდინარეობდა — საქართველოს ნაკრების კარში ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს რამიზ მეჩტიევმა და სერგეი კუზმინმა — 3:1. ამ კრიტიკულ მომენტში ჩვენმა მოთამაშებმა შეძლეს ძალეობის მობოლიზება, უფრო ყურადღებით დაიწყეს თამაში დაცვაში და სასურველი ანგარიში შეინარჩუნეს.

საქართველოს ნაკრები დამარცხდა, მაგრამ იმ ერთი გატანილი გოლის წყალობით აჯობა ლენინგრადელებს და, როგორც ვთქვით, ფინალურ ჯგუფში, ე. ი. რვა საუკეთესო კოლექტივის შორის გააგრძელებს ბრძოლას. ამ ეტაპზე მატჩები უკვე წრიული სისტემით ჩატარდება. ჩვენი გუნდი მორიგ შეხვედრას 7 სექტემბერს გამართავს.

მოფარიაკავებას დაინყუს ასაკაურობა

სპორტკომპლექს „დრუბაში“ მოფარიაკავებმა დაიწყო თავიანთი სასპარტაკიადო ტურნირი. ბილიკებზე თავდაობიერულად რაპირისტი ვაჟები გამოვიდნენ. შეჯიბრება, ტრადიციულად, პირადი პირველობით გაიხსნა და ძნელი მოსლოდნელი იყო (ამას არც საქართველოს ნაკრების წევრებმა მალავდნენ), რომ ჩვენი ახალგაზრდა მოფარიაკავებებიდან რომელიმე მშვე-

ლობიანად გაივლიდა წინასწარი შეხვედრების მეტად რთულ ლაბირინთს. მართლაც, პირველი ტურის შემდეგ შეჯიბრებას გამოაკლდა სამი მათგანი — ქაბუკი გოგობიძე, მალაზხ ნუცუბიძე და გელა ზვიადაძე. მეორე ტურში თანაგუნდელების ბედი გაიზიარა სერგო დემეტრაშვილმა. საქართველოს გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა ოლეგ ჩენიშვილმა ამ ეტაპზე ორი

შეხვედრა მოიგო, მაგრამ მეტისთვის ძალა არ ეყო (მომდევნო საფეხურზე გასასვლელად ხუთიდან სამი მეტოქის დამარცხება იყო საჭირო). ახლა ჩვენს რაპირისტებს გუნდური პირველობა ელით, რომელსაც მწვრთნელები უფრო იმედის თვალთ უყურებდნენ. დღეს ბრძოლაში ჩვენი ნაკრების მთავარი ძალა — ხმლით მოფარიაკავები ჩაებმეზიან.

ნომერშია:

- 1. შეჯიბრების თუ არა ხედავთავეთ საარბაქიდან უკეთ გამოცხადება? (80-2 გვ.)
- 2. სიახლე — შეჯიბრება მიწის-შეჯიბრებით თბილისის უანახს შორის. (80-3 გვ.)
- 3. პროფესიონალური კრივის გარეუბანში მომზადებაზე გედი (80-4 გვ.)



სპარტაკიადის გაკვეთილები

სპორტის გულშემატკივრები დიდი გულსისუფრით ადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობას, რომელშიც ჯერ კიდევ ივნისში აიღო სტარტი. სპარტაკიადის მთავარი ტურნირები სექტემბერში მოეწყობა, დღეისთვის კი ცნობილია შედეგები სპორტის 18 სახეობაში. საქართველოს დელეგაცია არაოფიციალურ ჩათვლაში ჯერჯერობით V ადგილზეა.

დღეიდან შემოგთავაზებთ რამდენიმე ინტერესულ საქართველოს სპორტსახეობის ხელმძღვანელ მუშაკებთან. გადავწყვიტეთ მათთვის სამი იდენტური კითხვით მივვებართა. ჩვენი პირველი სტუმარია რესპუბლიკის სპორტსახეობის თავმჯდომარის მოადგილე შოთა ძველიაშვილი.



1986 წლის სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარში გამორჩეული ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის. სპორტის ცალკეულ სახეობებში უკვე დამთავრებული შეჯიბრებების შედეგებზე საუბარი ალბათ უფრო შორიდან უნდა დავიწყოთ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებს, როგორც წესი, წინ უძღვის ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი. ჩვენ, მაგალითად, სპორტის უმეტეს სახეობაში თითქმის ორი წლის წინ დაიწყეთ მზადება. აღრე სპარტაკიადები ტრადიციულად ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა, ამჯერად კი ცვლილი სამი წელია. როგორც ცნობილია, სპარტაკიადის დებულებაში კიდევ ერთი არსებითი სიახლეა: ვკლუსხმობ მონაწი-

ლთა ასაკობრივი ცენზის დაწესებას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გათვალისწინებული იქნა მოსამზადებელ პერიოდში, რომელშიც, ჩემი აზრით, კარგად ჩაიარა. ცალკეულ სახეობებში ნაკრებ გუნდებს სათავეში ჩაუდგინენ რეპსუბლიკის საუკეთესო სპეციალისტები, გუნდები ვარჯიშობდნენ საუკეთესო სპორტულ ბაზებზე წინასწარ შედგენილი კონკრეტული გეგმის მიხედვით. ერთი სიტყვით, სპორტსმენებსა და მათს მწვრთნელებს ყველა პირობა პქონდათ შექმნილი ინტენსიური, ნაყოფიერი ვარჯიშისათვის (იგულისხმება სავარჯიშო ადგილი, ინვენტარი, სამედიცინო მომსახურება, კვება, ტრანსპორტი). მზადების პერიოდში წამოჭრილი თითქმის ყველა პრობლემა სპორტის ხელმძღვანელებს ვარჯიშის აქტიური დახმარებითა და სპორტსახეობის ოპერატიული ჩარევით დადებითად წყდებოდა.

სისტემატურად ვამოწმებდით ნაკრები გუნდების ვარჯიშებს. უნდა ითქვას, რომ მწვრთნელები სერიოზულ წინააღმდეგობას წა-

აწყდნენ გუნდების დაკომპლექტებისას. როგორც ფინალურ შეჯიბრებებზე გამოირკვა, ყოველთვის სწორად არ იყო განსაზღვრული ნაკრები გუნდების საბოლოო შემადგენლობა, სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდნენ ცალკეული სპორტსმენები.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით რამდენიმე სახეობაში უკვე დამთავრდა ფინალური შეჯიბრებები. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში პროგრამის არ გამართლდა, გუნდებმა და ცალკეულმა სპორტსმენებმა ვერ აჩვენეს წინასწარ დაგეგმილი შედეგები. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს წარუმატებლობა, კონკრეტულად ვის მოეთხოვება პასუხი იმისათვის, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა სრულად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები?

როგორც მოგვხსენებთ, უკვე გაიმართა სპარტაკიადის ფინალური ტურნირები ქიდაობის ოთხივე სახეობაში. ჩვენ ქიდაობაში 831 ქულას ვგვემჯიფით, ფაქტობრივად კი მხოლოდ 679,5 ქულა მოვარგოვთ, ცხადია, ვერც გუნდური ადგილები გამოდგა სახარბიელო. სპარტაკიადის პარალელური ჩათვლის სისტემა და ორგანიზაციული ლაფსუსები რომ არა, გუნდური შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა. აქ მე ძიულდა და თავისუფალ ქიდაობას გვულისხმობ. ამ სახეობებში შეიძინა ჩემიონი და სამი პრიზორი გვეყავს, მაგრამ ძიულისტებმა და თავისუფალი სტილის მოქიდავე-

ბმა მხოლოდ მეორე და მეხუთე ადგილები დაიკავეს.

უნდა ვიღიარო, რომ სპარტაკიადზე გამოვლენილი ხარვეზები და ნაკლოვანებები, აგრეთვე ჩვენი ზოგიერთი მუშაკის და მწვრთნელის უპასუხისმგებლობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, პირველ ყოვლისა, ჩემი სუსტი მუშაობის შედეგია. ჩემს საკუთარ სახეობებში ნაკრები გუნდების მომზადებისა და სპარტაკიადში გამოვლისთვის პასუხს პირადად მე ვაგებ. სამბისტა მათე ადგილი ყოვლად მიუტევებელ ჩამორჩენად უნდა ჩაითვალოს და აქ თავის მართლებას ზედმეტად ეს მართლაც უსუსური გამოსვლა იყო, არადა, ამ სახეობაში მწვრთნელ-სპეციალისტებმა I-III ადგილები იფარაუდეს. რა თქმა უნდა, სერიოზული პრეტენზიები გვაქვს „კლასიკისთვის“ მიმართაც. ეს გუნდი, ცნობილი მიზეზების გამო, სპარტაკიადზე შეკრულ კომპლექტზე ვერ წარდგა. შეჯიბრების წინ ვაირკვა, რომ ოთხი სპორტსმენის ასაკი არ შეეფერებოდა დებულების მოთხოვნებს და ისინი შედარებით სუსტმა მოქიდავეებმა შეცვალეს; ამას გარდა, ჩვენი გუნდის ზოგიერთმა წევრმა შეჯიბრებისას სრული უპასუხისმგებლობა გამოავლინა. მაგალითად, გურამ შონიამ, შეიძლება ითქვას, უბრძოლველად დათმო ორივე შეხვედრა და მთელი გუნდი დააღალატა.

ხალხთა სპარტაკიადის სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებისთვის გაწეულ მუშაობა-

საქართველოს ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის შედეგები, რომელშიც თქვენს ქიდაობაში...

სპარტაკიადის უკვე დამთავრებულმა ტურნირებმა კიდევ ერთხელ მთელი სიხალხით ჩაგვახვეს და ჩვენს პრობლემებში. დღეს როგორც არასდროს, გინსაკითხვითი ყურადღება გვცემა საკითხთა კომპლექსურ გადაწყვეტას პერსპექტივის მთლიანობაში გათვალისწინებით. საფუძვლიანად უნდა დაინერგოს სპორტის თეორიული და პრაქტიკული სიახლეები, კვლავც უნდა ვიზრუნოთ მატერიალური ბაზის განმტკიცებასთანავე. საქართველოს სპორტსახეობის ხელმძღვანელობა დღეს ყურადღებას უთმობს თითოეულ მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, სერიოზულ მწვრთნელების დაწინაურებას, პერსპექტიული სპორტსმენების რჩევას. ახლა მთავარია, ყველაფერმა ამან სისტემის ხასიათი მიიღოს და გამოიყენოს სპორტის განვითარებისთვის.

წინ არის სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის მთელი სახეობებში, უთუოდ საინტერესო და დამაბული იქნება სპორტული სექტემბერი. ჩვენ აქედანვე უნდა შევუდგეთ აქტიურ სამუშაოს მომავალი სპარტაკიადისთვისაც, რადგან სპორტის დიპლომატიის დროის ანაზღაურება ძნელზე ძნელი საქმეა.


გეოგრაფიკისტიკისთვის დაიწყო ახალი სსსრ-ის წელი

ამ მუდამ ხალხმრავლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნორჩები შეესივნიან ბეტონის ფეხს და იმპროვიზებულ შეჯიბრებებს მართავენ. თბილისის ძველი ველოტრეკი (წელიწადში 100 წლისთაა) უსრულდება) თავისი ადგილობრივობით ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი სპორტული ნაგებობაა ქალაქში და ამის გამო დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.

...ამ დღეებში ძველ ველოტრეკზე ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ნორჩებმა, მათმა დამრიგებლებმა, მშობლებმა, ქალაქის სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ეს დღე საგანგებოდ აღნიშნეს. ზემს დაესწრო ჩვენი სტუმარი, ცნობილი უკრაინელი და ევროპული ვეტერანი, სპორტის ოსტატი ვალენტინ ტრაიანსკო, რომელიც ოლიმპიური მომზადების ცენტრების სპორტსახეობის წარმომადგენელი იყო. ველსიბედისტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება პროფკავშირებისა და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ წარმომადგენლებმა ნ. ყურაშვილმა და ა. სტეპანოვამაც მოულოცეს.

ამ დღეს ტრეკი თბილისის განათლების სამმართველოს ბაგშვთა დამზარდა და „სპარტაკის“ სპეციალიზებული სპორტსახეობის აღსაზრდელთა განკარგულებაში იყო. ბევრი მათგანი მეორე-მესამე წელია აქ ვარჯიშობს მწვრთნელების ვეტერან მალცევის, შოთა შაყულაშვილის, ვია კორბაისის, თამარ კინაძისა და სხვათა მეთვალყურეობით. მოვარჯიშეთა კონტრგენტი ორ ნაკადდა დაყოფილი, მაგრამ განსაკუთრებული ხალხმრავლობა საღამოს საათებშია, როცა მოსწავლეებს გაკეთილებიც მომზადებული აქვთ და მეტი ხალხითა და ინტერესით ვარჯიშობენ.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო იმათთვის, ვინც ველსიბედისტის აზრს უკვე დაუფლებულია. სულ რამდენიმე დღეში კი „ვეტერანებთან“ ერთად ტრეკის ბილიზე ახალბედებიც გამოვლენ. მსურველი ბევრია, მშობლები მოწადინებული არიან. ეს კი, ორთავე სეკლას ინვეტარი უჭირს. ეს საკითხიც თუ მოგვარდა... ნორჩ ენთუზიასტებზე ბედნიერი არავინ იქნება.



ნორჩი ველსიბედისტები პირველ მეცადინეობაზე. აღმასკონტროლის ფოტო.

უაჩინდობა ხელი არ შეუვა

ოლიმპიური მომზადების ცენტრის საპარტიო პირველობა ველსიბედისტების ცენტრებს საკავშირო პირველობა, რომელშიც 13 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვებულმა 369 ქულით ტულის კოლეტივმა მოიპოვა, მეორე ადგილზე გვიდა „სპრინტი“ (საკავშირო ცენტრი) — 313 ქულა, მესამეზე — „ივერია“ (თბილისი) — 305 ქულა.

სპრინტერ გოგონათა შორის გამარჯვება ტულებმა ირინა კონუშკინამ მოიპოვა, ქალებში კი უძლიერესი „ზრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი ვალენა ნეზუხინა იყო. ქალები კიდევ ერთ სახეობაში ასპარეზობდნენ — 3 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში. აქ ყველას ტულებმა ლუდმილა კოტოვამ აჯობა. ჩვენს რესპუბლიკას ქალთა ასპარეზობაში გუნდი არ გამოუყვანია.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ოლიმპიური და ველო შეჯიბრება სპრინტში. ოლიმპიური შორის სომივე საბრზო ადგილი მოსკოვის „სპრინტის“ წარმომადგენლებმა მოიპოვეს. პირველი ადგილი იური გუტჩინენსკის ხელდა.

ვათა შორის ფინალში ერთმანეთს ოთარ მქედლოშვილი და ტულები მიხეილ სვატცევი შეხვედნენ. რობლა და მასთან პირველი ადგილი სვატცევმა მოიგო.

უაჩინდობის გამო შეჯიბრება გუფურ რბოლაში ბოლომდე არ ჩატარდა. მსაჯებმა გამარჯვებული 20 წრისა და 4 საშუალოდ ფინისში შემდეგ გამოავლინეს. პირველობა მოსკოველ ანდრეი ზოზულიას მიეკუთვნა.

ანდრეი ზოზულია, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ახალი რეიტინგები

სსრ კავშირის ქალაქის ფედერაციის უმაღლესმა საკვალიფიკაციო კომისიამ გამოაქვეყნა მიმდინარე წლის 6 თვისთვის იმ საბჭოთა მოქალაქეთა ინდივიდუალური კოეფიციენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე მონაწილეობდნენ კომისიის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში (შეგახსენებთ, რომ საბჭოთა კოეფიციენტები რამდენიმე განსხვავდება ფიდე-ს კოეფიციენტებისაგან). გთავაზობთ საქართველოს მოქალაქეთა რეიტინგებს.	
ვაშვები	
თამარ გიორგაძე	2526
ზურაბ ანაიფარაშვილი	2496
გენაი ზაირი	2489
ელისაბარ უბილა	2487
ელვარდ გუფელდი	2473
ზურაბ სტურუა	2460
მიხეილ კრასენკოვი	2440

ბუბუტი გურგენიძე	2401
გია გიორგაძე	2399
გია ბადათუროვი	2351
მიხეილ იაბლიანი	2314
დემეტრი გედევანიშვილი	2298
ალექსანდრე ბოკუჩავა	2258
რილანდ იაკობაშვილი	2180

ქალბავი	
მაია ჩიბურდანიძე	2449
ნონა ვაგინდაშვილი	2398
ნანა ოსელიანი	2362
ელენა ახმილოვსკაია	2341
ნანა ალექსანდრია	2339
ნინო გურიელი	2331
ქეთევან არახაშია	2264
შოთა წერეთელი	2196
თამარ სუგაშვილი	2184
ციხლა ქახოშვილი	2183
ნინო მელაშვილი	2180
ქეთევან მელაშვილი	2170
თამილა მესხი	2160
ციცილა კახაბრიშვილი	2156
ციური კობაიძე	2111

პროგრამისა და მუდ-ს კოეპლანის სრულყოფისათვის

ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტრადიციულ სამეცნიერო კონფერენციაზე განიხილეს სასკოლო პროგრამისა და მშდ კომპლექსის სრულყოფის აქტუალური პრობლემები, შეაჯამეს მშდ კომპლექსისა და სასწავლო პროგრამის ნორმატივების ექვივალენტური მონაცემები. მსჯელობის საგანი გახდა სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ფიზიკური აღზრდის მექანიზმების თეორიის საკითხი. აღინიშნა, რომ აუცილებელი კავშირი არ არის იმ ნორმების შორის, რომელიც მიღებულია ამ ასაკის ბავშვების ფიზიკური მომზადების შესათვისებლად. ვარკვეული მუშაობა წარმოებდა კაბუკ უფროსკოლათათვის ექსპერიმენტული პროგრამის შესამუშავებლად, რომლის საუძველს უნდა შეადგენდეს დაწყებითი სპორტული მომზადება, მშდ კომპლექსი და სახმედრო მომზადება.

მეცნიერო-საკვლევო მუშაობა უმთავრესად ოპტიმალური ასაკობრივი სტრუქტურისა და სპორტული შინაარსის დასადგენად მიმართულია.

ფიზკულტურაში საშინაო დავალებების შესახებ ითქვა, რომ მისი უკეთ ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად ჯერ კიდევ არ არსებობს მეცნიერულ დასაბუთებული მეთოდოლოგია. ამ პროცესს საშუალება არჩვენის თავსაზრისით ძირითადად შედარებითი ხასიათის აქტუალური მასწავლებელი ამ პრობლემას თავისებურად წყვეტს. სიორულეს წარმომადგენს, აგრეთვე, საშინაო დავალებების შესრულების შემოწმება, პრობლემატურია ამ მხრივ ახალი ფორმების დამკვიდრება.

აღინიშნა, რომ ბოლო დროს ფიზიკური კულტურის სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლება უმთავრესად კლასიკური მეთოდების და მშდ კომპლექსის მომზადება-ჩაბარების ხარჯზე ხორციელდება.

დამუშავებულია მონაცემები სსრ კავშირის მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. ეს მონაცემები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც საინფორმაციო-საცნობარო მასალა.

გათიშის, ვისაც ჩოგბურთი უყვარს

თბილისში ბევრია ჩოგბურთის მოყვარული. სპორტის ეს ელემენტური სახეობა ერთნაირად იტაცებს ყველა ასაკის ადამიანებს. ითვლება, რომ ჩოგბურთის მოყვარულნი არიან უფრო ხანგრძლივად ცოცხლები.

სწინებს რა ჩოგბურთისადმი დიდ ინტერესს, საქართველოს პროფესიონალური სპორტული ნაკრებობათა საქართველოს ჩოგბურთის ბაზის დირექტორი ავარტელებს სპორტულ და ვაჭანსაღებელ ჭაუფეში მსურველთა მიღებას.

მისამართი: ბლუზანოვის გამზირი № 117.

მარტა ზარბაძე, თბილისის ხალხთა განათლების სამმართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების მეთოდისტი.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ირგვლივ

მსპრეტენდენტის თვალში


2 სექტემბერს რიგაში ბრძოლას შეუდგნენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები, მოსკოველი დიდიოსტატი...

თავდაცვა შეტევაზე ნაკლებ როლი ეხერხება.

არტურ იუსუპოვი მეტოქესთან შედარებით წყნარ დებიუტებს იჩინებს, მაგრამ მიტელში მისი თამაში სულ უფრო მძაფრი ხდება.

ლი იმპროვიზაცია გახლდათ. როცა დგორეცის ჰეიბეს, რომელ ახალგაზრდა მოჭადრაკეებს მიიხვეთ პერსპექტიულად, მან ასე უპასუხა:

— იმ მოჭადრაკეების პლეადა, რომელთაც 20 წელი ჯერ არ შესრულდებოდათ, მეტად ძლიერი ჩანს, ბევრი ოსტატის ნამდვილი ძალა ჯერ კიდევ არ ვიცი, მაგრამ უკვე ანგარიში უნდა გავუწიოთ.



ქვეყნ-ინტერნაციონალური პირაპი პირაპი ფინალური

სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტკვიადაზე ხმლით მოფარაქვეთა პირაპი ტურნირში 17-დან 16 შეხვედრა მოიგო წყალტუბოელმა მერაბ ბაზაძემ.

მატჩი გაგრძელდა

ლენინგრადი. ხვლით 44 აქ დაიწყო მატჩ-რევენუის მეტამეტე პარტია ჭადრაკში მსოფლიო პირველობის სახელისათვის ვარი კახარაძისა და ანატოლი კარპოვის შორის.



ნახევარფინალური გაპილნე

ბრძალ. ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში მოსპარეზე სსრ კავშირის ნაერებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო ორი მატჩი ვდრინა.

ფრენბურთელები ბრძოლას გააგრძელებენ ნახევარფინალში. ნახევარფინალური ჯგუფებში გავილნენ აგრეთვე, ჩინეთის, გდრ-ის, იაპონიის, აშშ-ს, იტალიის, კუბის, სამხრეთ კორეის, პერუს, ბულგარეთის, ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები.

პროფესიონალური სპორტის საოცრებანი

სამი რეპროდუქციონი?

თითმოს უბრალო კითხვაა: ვინ არის ამჟამად მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის? მაგრამ ამ კითხვაზე ახლა ვერაფერი ვიპასუხებთ.

იკლი პროფესიონალებში ვადავიდა და მსოფლიო ჩემპიონობა დაიხსიაკურთა ქვემძიმე წონით კატეგორიაში.

„უორლდ ბოქსინგ ასოციეიში“ აღიარებს, უკვე რამდენიმე წელია პროფესიული რინგზე გამოდის, მაგრამ მთავარი წარმატებები წლეულს მოიპოვა.

წლის დასაწყისში მან მატჩი მოუგო ტონი ტიბსს და მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადეს. ვითერისპუნმა ზაფხულში პირველად დაიკვა თავისი წოდება ლონდონში.

ამასობაში გამოჩნდა კიდევ ერთი „რკინის მკვნიტელი“ პრეტენდენტი, რომელსაც შეუძლია სამივე ჩემპიონი დაამარცხოს.

მაიკლ ტაისონი 20 წლისაა, სამაღლით 180 სანტიმეტრია და 100 კილოგრამს იწონის. მან რინგზე გამოჩენისთანავე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა.

პირანეა და ათერუი

ცანტარაული ბალევიკი. 6 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი სილივეში (ფინალური შეჯიბრება) 16.15 (2).

რედაქტორის მოადგილე თ. გაჩეილბაძე



ფიკსულტურის ინსტიტუტის პრესბული გაპრეტა და მთავრდეთა კონკალმასური სპორტული სპოლა

1975-77 წლებში დაბადებული გოგონებისა და ბიჭების მიღება მძლეოსნობის, ჩოგბურთის და კალათბურთის სექციებში.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ფრენბურთის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის დირექტორი აცხადებს 1971-78 წლებში დაბადებულ მოსწავლე გოგონათა და ბავშვთა მიღებას 1986-87 სასწავლო წლისთვის.

მართლაც რომდისა და მსოფლიო ჩემპიონობის მატჩში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მან მატჩი მოუგო ტონი ტიბსს და მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადეს.

„უორლდ ბოქსინგ ასოციეიში“ აღიარებს, უკვე რამდენიმე წელია პროფესიული რინგზე გამოდის, მაგრამ მთავარი წარმატებები წლეულს მოიპოვა.

ამასობაში გამოჩნდა კიდევ ერთი „რკინის მკვნიტელი“ პრეტენდენტი, რომელსაც შეუძლია სამივე ჩემპიონი დაამარცხოს.

მძიმედ დაავადდა

მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, თავის დროზე დიდად პოპულარული მუჰამედ ალი მძიმედ დაავადდა პარკინსონის ავადმყოფობით.

„მნაშევა პროფესიული კრივი. ანჯელო დანდი, რომელიც ალის მრავალი წლის განმავლობაში ავარჯიშებდა, ამბობს რომ სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა 300 000 ძლიერ დარტყმას მიანიც გაუძლო.

452 მატჩი და დაპარბული მხედველობა

უმიძმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი შუგარ რეი ლეონარდი (აშშ). მას 160 000 დოლარი ვალი აქვს, პირველ ყოვლისა — ექიმებისა. საქმე ის არის, რომ 33 წლის მოკრივემ, რომელმაც სამოყვარუ-

ლო და შემდეგ პროფესიულ რინგზე 452 მატჩი გააართა, თითქმის მთლიანად დაკარგა მხედველობა. მსოფლიოს ექსჩემპიონს, როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, მხოლოდ 150 დოლარი ნაღდი ფული დარჩა.

საეთ ვითარებაში შეხვედა ტაისონი მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ აღიარებულ პრეტენდენტს მერვის ფრეზერს.

„ჩემი მიზანია გავხვედ კრივის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მძიმეწონისანი მსოფლიო ჩემპიონი“ — ამბობს ტაისონი. აქამდე მძიმეწონისანი შორის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი იყო ფლოიდ პატტსონი, რომელსაც ეს წოდება, როგორც კრივის ანალები იუწყებიან, 21 წლისამ, 10 თვისამ და 26 დღისამ მოიპოვა.

ტაისონმა და მისმა ქომაგებმა ბევრი იფიქრეს, სამი „დინოზავრიდან“ რომელი გამოეწვიათ, იფიქრეს და ბოლოს არჩევანი ტრევორ ბერბიკზე შეაჩერეს. ეს მატჩი 1986 წლის მიწურულსა ან 1987 წლის დასაწყისში უნდა მოეწყოს.

ვივი თინვალიაძე.

ნაენი მისმარტი: წერილებსათვის — 280098 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „დელი“.

რედაქციის ბალევიკი: სამღვარი — 28-27-52, ინფორმაციის განყოფილება — 28-27-52, წერილების განყოფილება — 28-27-55, „მარტვი“ — 28-27-27, „მერანი“ — 28-27-26.

ნაენი ინფორმაციის განყოფილება: 28-27-52, 28-27-55, 28-27-26.

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის სტამბა. 280098, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცხეტურა წესით ხაზურით კორპუსში: სოხარაულის, 29.